ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №448265

ნომერი: AR194761

თარიღი : 27.11.2012

გაცემის თარიღი : 30.11.2012

გაცნობის თარიღი : 03.12.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბ.ხმელნიცკი , N 42 , (ნაკვეთი N29/38) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა გეთიაშვილი პ/ნ 01011017300
- თბილისი ქ.ჩოლოყაშვილის ქ. I კვ. კორ. 1 ბ. 41

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ/2353-1
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 10.08.2011

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2012 წლის 27 ნოემბერს შემოსული NAღ194761 ელექტრონული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, ბ. ხმელნიცკის ქუჩა, N42–ში, (ნაკვეთი N29/38), სააქციო საზოგადოება "ისანი–ქართუ"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.17.11.029.038) არსებული ავარიული შენობა N01/2-ის რეკონსტრუქცია, აღდგენა, გაძლიერების ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 07 ნოემბრის №ბ–12/167622–16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობით დადასტურებას.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს

მთავრობის 24.03.09 წ. #57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,პ" ქვეპუნქტის თანახმად - ,,ქ. თბილისში (გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთს უარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით, ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითი ფორმით.

განხორციელებული მშენებლობის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია. დადასტურების წერილი მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილია და უნდა დაერთოს ამ დადგენილებით განსაზღვრული სამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს;"

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახური ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, ბ. ხმელნიცკის ქუჩა, N42–ში, (ნაკვეთი N29/38), სააქციო საზოგადოება "ისანი–ქართუ"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.17.11.029.038) არსებული ავარიული შენობა N01/2-ის რეკონსტრუქცია, აღდგენა, გაძლიერების ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 07 ნოემბრის №ბ–12/167622-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ- სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებითი მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

წინამდებარე წერილობითი დადასტურება განიხილება პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 10.08.2011წ. №01/2234 ბრძანებასთან ერთად და წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.